№ 73
კვირა, 9 აპრილი 1895

1877—1895

ივერია

№ 73
კვირა, 9 აპრილი 1895

რედაქცია:
ნიკოლოზოვის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებელად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ГАЗЕТИ ДНІВ:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ლატარია-ალბერი

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ
დანიშნულია 7 მაისს.

ვისაც ჭსურს შემოსწეროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს **ძნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას.**

(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი № 21).

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი ამით აცხადებს ბ- ბ. დამფუძნებელ წევრთა და მსესხებელთა სასურაველ-ადგილად, რომ რუშეულების ქალაქდები, საზოგადო კრებაზედ მონაწილეობის მიღებისათვის, რომელიც მაისისთვის არის დანიშნული მიეცა მხოლოდ ერთის კვირით ადრე ბების დაწყებამდის.

(3—ნ.—1)

ქართული თეატრი

საკელ-მოქმედო წარმოდგენა, დანიშნული ოთხშაბათს 17 მარტისათვის გადადგა
ოთხშაბათისთვის 19 აპრილს.
წარმოდგენილი იქნება
დანაშაული და სასჯელი
დრამა 5 მოქ. თარგ. ვ. ალაშიძისა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზაში ისყიდება:

სურათებიანი ბუბოის ტყოსანი, გამოცემული გ. ქართველიშვილის მიერ 10 მანეთად.

საქართველოს ისტორია ვახუშტი ბატონიშვილისა, გამოცემული დ. ბაქრაძის რედაქციო გ. ქართველიშვილის მიერ 2 მან., ტფილისს გარეშე დამბარებელმა წიგნის ფასთან უნდა გასაგზავნის ხარჯის ფულიც გამოგზავნონ.

(10—ნ.—7)

გამგზავნა

ტფილისის საურიერთო სასოფლო მეურნეობის კრედიტის საზოგადოებისა ამით აცხადებს, რომ 25-ს ამა მდგომარე მრტიდამ მიიღების არზებს მათგან, ფნც მოისურვებს კრედიტი იქონიო ხსენებულ საკრედიტო დაწესებულებისაგან და წერად ჩაეწეროს. წერად შესაძლოა ჩაეწერონ და კრედიტი იქონონ ყველამ, წოდებისა ტ ქესის განურჩევლად, სოფლის და ქალაქელსა. რა გვარად ფ რა სახით უნდა დაწერილ იქმნას ერზა, ამისთვის საჭიროა მიჰმართონ თვით გამგეობას, რომელიც დროებით მოთავსებულია ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში, და ყველა საჭირო ცნობას იქ მიიღებენ.

თხოვნები მსურველთა შემდეგის ფორმით უნდა დასწერონ.

ტფილისის საურთიერთო სასოფლო მეურნეობის კრედიტის საზოგადოების გამგეობის მიმართ
(წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი; რომელ მაზრიდან.)

უმორჩილესად გთხოვთ, მიშუამდგომლოთ, რათა მიღებულ ვიქმნე საზოგადოების წევრად, შემომაქვს რა (აღნიშნულ უნდა იქმნა ფულის რაოდენობა.) ამასთანავე პატივი მაქვს გაუწყოთ შემდეგი ცნობები:

1) მაქვს უძრავი მამული (სად იმყოფება, რა მამულია, დაახლოვებით რამდენი ღირს, დრაიგებულია თუ არა და ან რა ფასში?

2) ჩემი ხელობაა (მიწათ-მოქმედება თუ რაიმე ხელობა?)

3 ვავაკრობ 18—წლიდგან (რა საქონლით?) წელიწადში დაახლოვებით ა) ( ) მანეთის საქონელსა ვყიდულობ ბ) და ვყიდი ( ) მანეთისას.

4) ვასრულებ თანამდებობას და 5) ვსარგებლობ კრედიტით (რომელ საკრედიტო დაწესებულებაში და ან რა ზომით)

ხელის მოწერა.

საცხოვრებელი ადგილი

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერელნი ვამოწმებთ, რომ ამა თხოვნას ნამდვილად ხელს აწერს

ხელის მომწერელნი:

ტფილისი, 9 აპრილი.

—

ჩინეთ იაპონიის მორიგება შესანიშნავის სისწრაფით მოხდა. ევროპის სახელმწიფოები ფიქრობდნენ, რომ მათი ჩარევა აღმოსავლეთის საქმეში უთუოდ საჭირო იქნებაო. ეს ჩარევა უსარგებლო არ იქნებოდა და ევროპა შუამავლობის გაწევისთვის, რასაკვირველია, შესაფერს სასყიდელს მოითხოვდა; ინგლისმა კიდეც დასახელა ამგვარი სასყიდელი—ნავთსადგური ჭამილტონი; უთუოდ სხვებსაც ჭქონდათ რამე სახეში, მაგრამ მოლოდინი ყველას გაუცრუდა. იაპონია-ჩინეთის სახელმწიფო მოდგაწეებს კარგად სცოდნიათ, რას ნიშნავს და რას მოასწავებს ევროპის შუამავლობა და ამისთვის ერთმანერთს დაუთმეს და საკვირველის სისწრაფით ზავი ჩამოაგდეს.

გუშინდელმა დეპეშამ გვაცნობა, რომ სანამდის მორიგება დამტკიცებული არ იქნება, მანამდის იაპონელნი არ გამოაქვეყნებენ ზავის პირობებს. მაგრამ, საზოგადოდ, ეს პირობანი უკვე შეტყობილი გვაქვს ევროპის გაზეთებიდგან. სამხედრო კონტრიბუციად იაპონია აიღებს ორას მილიონს იენს—ესე იგი—დაახლოვებით ხუთას მილიონს მანეთს. შემდეგ, იაპონიამ დაისაკუთრა ფორმოზის კუნძული. ეს კუნძული სძევს ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირის პირდაპირ — კარგა მოზრდილია— 38,803 ოთხ-კუთხი კილომეტრი, რომელზედაც სცხოვრობს $3^1/_2$ მილიონი ხალხი. ისაკუთრებს იაპონია აგრეთვე ლიაოტონგის ნახევარ-კუნძულის სამხრეთი ნაწილს. ეს ნახევარ-კუნძული ნაწილია ჩეჩელის პროვინციისა, იმ პროვინციისა, რომელშიაც არის ჩინეთის სატახტო ქალაქი—ჩეკინი. ამ რიგად იაპონია თვით ჩინეთის ტერრიტორიაზედ გადგივდა და დიაკვა ისეთი ნაწილი, რომელიც მას ძალიან აახლოვებს ჩინეთთან. გარდა ამისა იაპონიამ ნება მიიღო ჩინეთის ზღვიერი ნავთსადგურები სადგურებში თავისუფლად გზავნოს ხოლმე თავისი სავაჭრო გემები... მორიგების დანარჩენ პუხლების შესახებ გაზეთები გადაპრილს არას ამბობენ, ამიტომ ჩვენ მათ არ ვიხსენებთ.

მორიგების ასე სწრაფად დაბოლოვება და ის გარემოება, რომ ჩინეთმა თითქმის უპროტესტოთ დუთმო იაპონიას თავისს სამფლობელოს დიდ-მნიშვნელოვანი ნაწილი, ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჩინეთისა და იაპონიას შორის საიდუმლო ხელშეკრულობა დადო, ეს უკვე იყო ურუთ მოხსენებული რუსულს გაზეთებში. ეჭვს გარეშეა, რომ იაპონია დიდს გავლენას მოიპოვებს ჩინეთის, როგორც შინაურს, ისე გარეშე საქმეებში. ძნელია ნამდვილი დადგესება იმ მნიშვნელობისა, რომელიც ექნება იაპონიის გავლენას ჩინეთზედ. როგორც უკვე გვქონდა „ივერიაში“ მოხსენებული ყოველივე გვაძლევს ნებას ვიფიქროთ, რომ ჩინეთი იმგვარსავე წარმატებაში შევა, იმგვარადვე წავა პროგრესის გზაზედ, როგორც მისი ნათესავი იაპონიის ერი. ამ გვარად, კარგა ხანს მიძინებული აზია იღვიძებს და თვით იწყებს თავისთვის ზრუნვას, ზრუნვას ახალის გზით, ახალის საშუალებით, ახალის ია-

ფელეტონი

ჩვენება.

—

მზე მთის მწვერვალსა ამოფფარა,
ღლისა ნათელი ნელ-ნელ ქრებოდა,
და ჩემს ოთახის ნესტიანს კედლებს
შავი მანდილი ეფინებოდა...
ღამ ,ილს, დაქანცულს მღელვარ-ბისგან
ცეცხლისა ალი გულს მედგებოდა,
ვეგდე ლოგინზედ და ფიქრთა გროვა
მიტყუილებდა, მეზიდებოდა...
და რა ადგომას დავაპირებდი,
ეჭრძნობდი ნელ-ნელა ძალა მხდებოდა,
უნიდობის ცრემლი თვალთაგან
მთრთოლვარე მკერდზედ მეპკურებოდა;
რა მოვიოხე გული ტირილით,
ბუერანში ზეველ, ჩამძინებოდა,
აგრამ ძილშიაც ვიტანჯებოდი,
გულს კაეშანი არ ნელდებოდა.
უცებ შეირხა ჰაერი... ვხედავ
ქალწული ვინმე თავს დამდგომოდა,
შავებით იყო იგი მოსილი
და ორივ ხელი გულს დაჭერეფვოდა,
— „ვინა ხარ შენ? ვკითხე, ქალწულო,
ან აქ რა გინდა, ოსულხარ სითა?
მიწა შენებრივ შვილთ არა ჰშობავს,
ვეშვ, უნდა იყო მისული ცითა!?.
— მე ვარ, ჭაბუკო, იგი რომელსაც
ეალერსები შენ ოცებითა,
ის ვინც გახადე გულისა კერპად,
ვის წინ მუხლს იდრკ მოწიწებითა...
მოველ, ყურს ვუგდ შენ გულის
კვნესას,
ვუყურებ თვალებს ნაბანს ცრემ-
ლითა—
მითხარ, რა გტანჯავს ,ა რა გაშ-
ფოთებს,
ან ვის ემუქრი კბილთა ირეკნითა?..
— თუნდ ბასრის დანით ,ომჭრან ეს
ენა,
კლიტე დაადონ მუსივე ბაგსა,
სიტყვითა უძლ ური აწ რასაც ,ერძნობ,
მე ვათქმევინებ თვალთაგან ,ცრემლსა.
მისმინე, ღმერთავ!—რა გამოშორდი
დედის კალთას და სახლის კერსა,
მსხვერპლად გავუხდი უსამართლობას
და სათამაშოდ ბედის წერასა...
ცხოვრებას ვთვლიდი მშვენიერ ბა-
ად
და მის ყვავილად აქ სიცოცხლეს.
ცხოვრება არის თვით ჯოჯოხეთი
და სიცოცხლე-კ ტანჯვა დე კვნესა
ამა ქვეყნისა ძლიერთა შვენა,
მძლავრთ უკმეხობა, ჩაგრულთ ვაება,
უმანკო სისხლით გასვრილი ხმალი
და მაშრალთ ოფლით მტარვალთა
კვება,—
ცრემლი და კვნესა ჩაგრულის ერის
მრჩაგვრელთა ხარხარს აქ უერთდება,
ერთთა ლადობა, მეორეთ ტანჯვა,
აი, ეს არის ჩვენი ცხოვრება...
ამას ვუყურო გულ-დამშვიდებით?
განა ეს ძალუძს ადამიანსა,
მტომა მხედავ ესდენ გულ-ნაკვეთს,
ესდენ მწუხარეს, თვალ-ცრემლიანსა.
— ჭაბუკო, სცდები ოხვრა-ტირილი
ვერც რას შენ გარგებს ვერც ქვეყ-
ნასა,
მთას იქით წვიმა აბა რას არგებს
მთისა გადმოღმა დამწვარს ყანასა.
აღსდეგი, ყრმაო, გადი ბრძოლადა,
უსამართლობას მუნ შეეჭიდე
და ტანჯულს ერსა, თვალზედ ცრემ-
ლები
მით შეუმშრალე და ჩამოსწმინდე,
წამოაყენე სულ-დავრდომილი
და უგულოსა ჩაუდე გული.
აღუგზენ ცეცხლი სიყვარულისა,
რომ სხვამ თვისადა სჯნოს სხვისი
წყლული...
— მეც ეგა მტანჯავს და მიორკეცებს
გულის ვარამს და ტანჯვა-ოხვრასა,
რომ ულონო ვარ, ქმნილება სუსტი
და ვით შევიძლებ მედგარს ბრძოლასა!
— მაშ კარგი, ყრმაო, მე მოგცემ
ხელთა
ხმალზედ მკვეთრს მახვილს საბრძოლ-
ველადა,
ჩაგიდგავ სულსა ვაჟკაცობისასა,
თუ გინდა იყო მაშრალთ მცველადა.
მხოლოდ ჯერ ფიცი მომეცი მტკიცე,
წმიდა ზრახვათა რომ არ უმტყუნებ
და ჩირქს არ წასცხებ წმიდა იარაღს,
ბრძოლის ველიდგან პირს არ იბრუ-
ნებ...
—ვფიცავ სიმართლეს უარ-ყოფილსა,
ულიარსთ ხელთაგან დასჯილს, გმობი-
ლსა,
შემწიკვლულს, ჩაგრულს, ლახვარ-
სობილსა,
ხელებ შეჯაჭვულს და შებორკილსა!..
ვფიცავ მის დროშას შეურაცხყოფილს
და მის გმირთ-გმირებს თავ-დაკვეთი-
ლებს,
მისის სახელით მებრძოლთ, მეომართ,
მათაც და ხანჯლ ,ლ დაფლეთილებს,
კვლავ ვფიცავ მასა მხოლოდ წმიდასა,
მისსა მოსარჩლედ მეომართ დასსა,
უკანასკნელ დღეს განჩინებისასა,
ძალას და ღონეს მისსა დიდასა...
ვფიცავ მისს სასტიკს მართლ-მსაჯუ-
ლებას,
შემწიკვლულს დროშის გაპრწყინვე-
ბასა,
შეუპოვრობას, მედგარს ბრძოლასა,
უსამართლობის დამარცხებასა!..
—კმარა, ჭაბუკო, აჰა ეს ჩანგი
განუყრელად შენ თანა გქონდეს
და რა შეეხო მაგას თითებით
შენებრივ გრძნობით ეგეც ათრთოლ-
დეს.
შენ რომ ატირდე, ეგ ააკვნესე
და აატირე მსმენელთა გული,
მოსთქვი ქვეყნისა უსამართლობა,
ყურით ნასმენი, თვალით ნახული;
დეე, ხალხთა ბრბომ—დაგგმოს, დაგ-
ლახვროს,
არ დაიჩნიო გულს შიში, ძრწოლა,
პასუხი შენი მარად ეს იყოს:
„უკუღმართს სოფელს, ბრძოლა და
ბრძოლა“...

—

მითხრა ესა და გაჰქრა აჩრდილი,
ველარ მოვასწარ თაყვანი მეცა,
გამომეღვიძა და შეეშის ცრემლი
თვალთ მონაწური გულზედ დამეცა...

ი. ვეფხვიანი.

არსებობს თუ არა ჩვენში კლასთა ბრძოლა?

ბ-ნი ჯიბლაძე, ეს მეორე მწერალი „მესამე დასისა“, „ივერიის“ მწერლებს კონსერვატორებს და რეტ

რადით. შეუძლებელია უტუუარად დაადგასოს კაცმა დღესვე ის ცვლილება, რაც მოსალოდნელია მონგოლთა ძალიერების აღორძინებით! ამიტომაც გადაჭარბებული არ არის ინგლისის გაზეთების დას კვნა: კაცობრიობის ისტორიის ახალი ხანა იწყება დღესვე!

ევროპის ყველა სახელმწიფოებზედ უფრო საოქრებელი და საშიში ძდგომარეობა, რასაკვირველია, რუსეთს უჭირდება. რუსეთს ვეებერთელა სამფლობელო აქვს აზიაში, მაგრამ თითქმის სრულიად დაუსახლებელი. უმეტესი ნაწილი ციმბირში მცხოვრებთა იმავე მონგოლთა შთამომავლობას ეკუთვნის, რომელიც ჩინეთ-იაპონიაში სცხოვრობს. რუსის მოსახლობა-კი ძალიერ ცოტა არის. რაც უნდა ენერგიულად შეუდგეს რუსეთი ციმბირის დასახლებას, ამას ძალიან დიდი დრო უნდა. რაც უნდა ნაკლებად ვიანგარიშოთ, ციმბირის დასაცველად საჭიროა კიდევ 20 მილიონი მაინც იყოს ამ ვეებერთელა მანძილზედ დასახლებული; ამოდენა ხალხის დასახლებას-კი 40 წელიწადი მაინც უნდა.

ციმბირის ახლანდელის ჯარით მტრის მოგერება, რასაკვირველია, შეუძლებელი საქმეა, ევროპის საზღვრიდგან ჯარის მიშველება კი ძალიერ საშიშია... ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილი—მანჯურია—ერთობ მჭიდროდ არის დასახლებული და აქამომდე მხოლოდ რუსეთის შიში აჩერებდა ამ ხალხს უსსურისა და სხვა მოსაზღვრე ადგილების დაკავებას. ახლა-კი იაპონის მფარველობა, მოსალოდნელია, წაათამამებს ჩინეთს და შესაძლებელია რუსეთს სრულიად მოუსპონ დიდ წესრიგ ოკეანესაკენ გასავალი გზა. ეს თუ მოხდა, რუსეთის ძალიერება აზიაში „გაწბინნევა ვითარცა კვამლი“... დღეს ეს ყველასათვის ცხადად შეიქმნა და ამიტომაც ვხედავთ—ევროპის მხრით—ინგლისის გაზეთების

როგორადებს უწოდებს; ალბად, იმიტომ, რომ თითონ პროგრესსისტის სახელით წარსდგეს საზოგადოების წინაშე. ძალიან იოფად-კი მოუნდომებია ამგვარის სახელის მოხვეჭა. ჩვენის ფიქრით-კი ჩვენს „პროგრესსისტსაც“ აგრეთვე არეული აქვს აზრები, როგორც მისს წინამძღვარს, „მესამე დასის“ თავს ბ-ნ გ. წერეთელს.

მე ვამბობდი, რომ ჯერ ჩვენში სამაშინო წარმოება არ არის-მეთქი. ბ. „ლალი“ ამბობს ამასვე, თუმცა სხვა სიტყვებით, სხვა ტერმინებით, ე. ი. ჩვენში ჯერ კაპიტალიზმი არ არსებობსო. ბ-ნი ჯიბლაძე-კი წინააღმდეგს აღიარებს და, რადგან მას არ ვეთანხმებით, რეტროგრადებს გვიწოდებს.

ის ქვეყნები, სადაც განვითარებულია კაპიტალისტური წეს წყობილება, წარმოადგენენ განუვითარებელის ქვეყნებისათვის ამათი მომავალის სურათსო, აი ეს სიტყვები მარქსისა გაუხდია ბ-ნ ჯიბლაძეს თავისის ფილოსოფიურ-პუბლიცისტიკურის მოსაზრების ქვა-კუთხედად.

მართალი-კი უნდა მოგახსენოთ, ბ-ნო ჯიბლაძე: თქვენ ძლიერ დაგაშავეთ, რომ ერთი ფრაზა ამოგლიჯეთ მარქსის თხზულებიდგან და იმ ფრაზაზედ ააშენეთ თქვენი ფილო-

---

უზომო სიხარულს და მეორეს მხრით რუსეთის გაზეთების უზომო სასოწარკვეთილებას.

სუვორინის „ნოვ. ვრემია“ თითქმის ყოველდღე იმეორებს—ჩვენი საქმე აზიაში ხელიდგან მიდის, რკინის გზის გაკეთებაც დაგვიგვიანდა და სხვა ამ გვარი. „მოსკოვ. უწყებანი“ ყოველ დღე მუქარას იმეორებენ და აქეზებენ მთავრობას, მალე ვუშველოთ საქმესაო. ადვილი სათქმელია—საქმეს ვუშველოთ, მაგრამ როგორ, რა გზით, რა საშუალებით—ეს ალაჰმა უწყის.

ლალი.

ახალი ამბავი

—

*** ტფილისში ჩამოსვლას აპირებს სასჯულო საქმეთა მინისტრი ნ. ვ. მურავევი. მინისტრი ტფილისში ჩამოვა საქართველოს სამხედრო გზით, აქ დარჩება 3 დღეს, აქედგან წავა ქუთაისსა, ერივანსა, განჯასა და ბაქოში. პეტრბურგს ქალაქ ასტრახანით დაბრუნდება.

*** სენატორი ა. ფ. კონი, რომელიც სამოსამართლო დაწესებულებათა სარეგიზიოდ არის ჩამოსული ტფილისში, ტფილისის სამოსამართლო პალატას ორშაბათს, 10 აპრილს, ინახულებს.

*** სოფ. აცანა, (გურია): ქალაქ ოზურგეთში დეპო-ბანკის დაარსებას ჩვენში თანაგრძნობით მიეგებნენ. ერთმა განათლებულმა კაცმა აუწსნა ყრილობაზედ ხალხს ამ კეთილის საქმის მნიშვნელობა და სთხოვა, ვისაც შეძლება ნებას აძლევს, წევრად ჩაწერილიყო, რაზედაც ბევრმა განაცხადა სურვილი.

*** სოფ. მახინჯაური, (ბათუმის ოლქი): მახინჯაური ბათუმზედ ოთხის ვერსით დაშორებულია. დღეს, აქ, იმ გვარივე გაცხარებული მუშაობაა ჩაის თესვა-ნერგვაზედ, როგორც ჩაქეში. ეს სასარგებლო მცენარე 7—8 ვერსის მანძილზედ ითესება ციხიდგან დაწყებული (ბათუმიდგან ორს ვერსზე) ბ. სალავცოვის მამულებამდე. ჩაის ბალები ყველა ზღვის პირად არის. ამგვარ ჩაის თესვა ნერგვით, მახინჯაური დღეს დიდს წარმატებაში მიდის.

—

ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲬᲝᲠᲔᲑᲐ.

უცხოეთის წერილს ამბებში ერთს ადგილს, სადაც ედუარდ შმიდტის სიმაღლეზეა ლაპარაკი, შეცდომით დაბეჭდილა: „სიმაღლეთ 6 ადლიაო.“ უნდა იყოს 6 ფუტი და 3 გოჯი.“

ᲨᲔᲛᲝᲬᲘᲠᲕᲘᲚᲝᲑᲐ

—

მომავალ ლატარია — ალეკრიანსთვის წერა-კითხვის საზოგადოებისაგან მოსკოვიდგან დაბარებული ათის თუმნის ნივთეულობა და ამ ნივთების გამსყიდველის ე. ნ. კოროტკოვისაგან შემოწირული 32 მან. ნივთეულობა უკვე მიიღო ზემოხსენებულმა საზოგადოებამ.

ამავე საგნისათვის შემოსწირა: ვლადიმერ ივანეს ძე მაჭავარიანმა 15 ფასტა საწერი ქაღალდი, ერთი კოლოფი კონვერტი, სამოცი ყარანდაში და ერთი შეკვრა ფოსტის ქაღალდი.

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ.

—

თიანეთის მაზრა. ყველამ უწყის, რა მიყრუებული კუთხე იყო აქამომდე თიანეთის მაზრა. იგი დიდს გაჭირვებაში იყო ჩაბარდნილი უფროზოობის გამო. დაიწყეს აქ გზების გაყვანა, რის წყალობითაც მცხოვრებლები დაუკავშირდნენ თელავისა და ტფილისის მაზრებს. ამ დროსვე ეკუთვნის ტელეგრაფის დაარსება. 1893 წელს ადგილობრივის ადმინისტრაციის მეცადინეობით დაარსდა ფოსტის განყოფილებაც. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა ამ ცვლილებამ თავისი ბეჭედი დასვა თიანეთის მაზრის ცხოვრებას. დღეს აქ ძვირად შეხვდებით მიწურს სახლებს. წინანდა-კი, როგორც გვარშეწონებენ მოხუცებულნი, უცხო კაცს რომ გაეგლო თიანეთზედ ხამის ცხენით, უეჭველია, რომლისამე სახლის ბაში ჩაიჩეხებოდაო. მის მაგიერ დღეს ორსართულიანი სახლებია გამოჭეშული. განათლების სხვებიც თან-და-თან ანათებს უმეცრების წვდიდით მოცულს ქვეყანას. წერა-კითხვის გავრცელება და ცოტ მორწმენობების შესუსტება ჩვენში ისევ გზების წყალობა არის. ამის სიტეშმარიტე შეგვიძლიან დავასაბუთოთ შემდეგით: თიანეთის ოლქის უფროსის თდ. რატიშვილის მიერ 1867 წელს ჩამორთმეულის ჩვენებიდგანა სჩანს, რომ ამ დროს მთელს ფშავ-ხევსურეთში ხელის-მოწერა არავის სცოდნია; ჩვენების ბოლოში, სხვათა შორის, ვკითხულოთ: „ამას ვაჩვენებთ მტკიცის სიმართლით და შაად ვართ დავამტკიცოთ ფიცით, ხოლო უცოდინარობისა გამო წ�ინა, დავასვამთ ნიშნებს მელნით დასველებულითა თითითა ჩვენითა *)“. ამნაირი მაგალითები დღეს გასთლებამ აგვაშორა. ეხლა ყველა სამამასახლისოშია მწიგნობარი. რიელ ადგილსაც თიანეთის მაზრაში ჩეღმა არგუნა სხვასთან დაახლოვება გზების შემწეობით, იქ ცრუ-მორწმენობას თავისი ბრძოლის ასპარეზი დაუტოვებია და სამაგიერო ბინა გაუჩენია ფშავ-ხევსურეთის მიუვალ მთათა მუა.

გზების წყალობაა ის მოვლენაც, რომ დღეს თიანეთში ხელოსანთა რიცხვმა ერი-ორად და სამად იმატა; ამიტომ ხასლების აშენება უფრო გაადვილდა გარდა ამისა, ჩვენ ვვაქვს კიდევ სასიფლო აფთიაქი, რომელიც დიდს სამსახურს უწევს მცხოვრებლებს, თუ მივიღებთ სახეში იმ გარემოებას, რომ წინად იძულებულნი ვიყავით გგზავლოო 40 ვერსის მანძილი დუშეთსა და თელავში წამლების შესაძენად. მიუხედავად ამისა, დროთა ვითარებამ თვით ხალხის მოთხოვნილებაც კაადილია, გაადფართოა. ეს ადგილობრივმა ადმინისტრაციამ კარგად ივრძნო, რომელსაც ის შედეგ მოჰყვა, რომ დღეს ახალს გზა-ტკეცილს უმატებენ თიანეთის მაზრას ამ გზით განხრახავ აქვთ შეუერთონ თიანეთი ანანურს და შემდეგ სამხედ რო გზით კავკასს. თუ აწინდელ გზებმა თვალ საჩინო გავლენა აქ ნიეს ჩვენს ცხოვრებაზედ, მომავალ გზა, უეჭველია, ძირეულად შესცვლილს და სულ სხვა სამირკველზე დამყარებს ჩვენის ცხოვრების მომავალს ბედს, რომ ახალის გზის მნიშვნელობამ უნაყოფოდ არ ჩაგვიაროს აქვე უნდა დავსძენოთ, რომ მომავალი გზა ანანურსა და თიანეთს შედიდს სამსახურს გაუწევს თელავსა და სიღნაღის მაზრებსაც. დღეს ორივე მაზრებს მისვლა-მოსვლა აქვთ კავკავთან. რადგან მომავალის გზის შემწეობით მანძილი ბევრად შეუმოკლდებათ, ცხადია, რომ კავშირი და დამოკიდებულება ურთიერთ შორის ერთი-ორად გაძლიერდება. ვის ეკუთვნის თავდაპირველი აზრი ამ გზის გაყვანისა არ ვიცი, ხოლო მისი აღსრულება, აზრის საქმედ გარდაქცევა-კი, ეკუთვნის თიანეთის მაზრის აწინდელს უფროსს, ნიკოლოზ იაკინთეს ძეს ბ. ალეკსი-მესხიშვილს, რომელმაც პირველივე ნაბიჯი თვისის სამსახურისა ჩვენს მაზრაში აღიბეჭდა ძნელის, მაგრამ დიდად სასარგებლო საქმით.

აღ. მთაწერელი.

—

ᲐᲭᲐᲠᲐ

(შემდეგი *)

24, კუშურა. 16 კომლი. რამდენიმე კაცი გადასახლდა ოსმალეთში. აქ სცხოვრობენ ზეგნიდგან მოსული გამოჩენილ ბოლქვაძეების გვარის წევრნი. აქ ამათ შეუფყეს ხელი თათრობის გაერცელებას, რის გამო ოსმალთაგან პატივიც მიიღეს. შემდეგს დროებში ესენი აქ „ჩუმ ქრისტიანებსაც აბეზღებდნენ ოსმალებთან.

25, კაბარტეკ. 14 კომლი. აქ სჩანს ქვეყერები და ღვინის საწურავი. სოთაც შესაძლებელი იქნება ჩვენში, ჩვენ აქამდის გაგვახმობდა და თუ ჯერ კიდევ ცოცხალნი ვართ, ეს იმას უნდა მივაწეროთ, რომ ჯერ კიდევ მარჯვედ ხელი ჩაგვიკიდნია ნატურალისტიკური წარმოებისთვის, რომ ნატურალისტიკური წარმოების სამფლობელოდგან არ გამოვსულვართ და არც საჭიროა, რომ გამოვიდეთ ჯერ-ჯერობით.

და ეს-კი იმას ჰნიშნავს, რომ ჩვენში სოფლის მცხოვრები მეტი იქნება, ვიდრე ქალაქისა; წერილი მესაკუთრე მეტი, ვიდრე მსხვილი, და რომ წვრილი მიწათ-მფლობელობა იქნება უპირატესი ფორმა ჩვენის ეკონომიურის მდგომარეობისა.

მაგრამ ან-კი რას ვწინასწარმეტყველებ?! წინასწარმეტყველება ბ-ნის ჯიბლაძისათვის მიმინდვია. მისთვის მიმინდვია გამოცნობა მისი, თუ რა იქნება მალე და რა გვარი დასები უნდა გავიჩინოთ ახლავე იმ მომავლის მიხედვით. მე მივაქცევ მკითხველის ყურადღებას მხოლოდ იმას, რაც ახლა არის. ბ-ნი „ლალი“ ამბობს, რომ უმეტესი ნაწილი ჩვენის ხალხისა წვრილი მამულის პატრონები არიანო. ამას ვერ უარ-ჰყოფს, მგონია, ვერც ბ-ნი ჯიბლაძე. მაგრამ ბ-ნი „ლალი“ ამბობს, რომ ჩვენში კაპიტალიზმი არ

როგორ ეს ის პოლიტიკური მოძრაობა მოჰყვება ყველა ამას, რაც შეადგენს სულსა და გულს კაპიტალიზმის. წარმოებისას?

დღეს-კი არც ეს არის ჩვენში. უმეტესი ნაწილი ჩვენის ერისა პატარა-პატარა მწის პატრონები არიან. მართალია, კაპიტალიზმმა უკვე მოჰხეა ჩვენს ხალხს თავისი ძლიერი ხელები, ბევრჯერად შესცვალა ჩვენი ეკონომიური, ზნეობრივი და გონებრივი ვითარება, მაგრამ ჩვენს ხალხს ჯერ ფეხი ძაინც კიდევ ნატურალისტურს წრმოებაში უდგია. დიაღ, უფულოდ, უკაპიტალიზმოდ ცხოვრება ახლა შეუძლებელია. გურულები და ქეგრელები და, საზოგადოდ, ქვემო ამერლები ისე ვერ იცხოვრებენ, თუ სიმინდი და ამრეშები არ გაჰყიდეს; აგრეთვე ვერც კახელები იცხოვრებენ, რომ მათი ღვინო არ იყიდებოდეს; ზემო-ამერლებს უმანგანეზოდ სული ამოხდებოდათ. ქარხანელებისთვის აუცილებელი საჭიროებაა პურისა და ქერის გაყიდვა და რაკელები ხომ აქამდის აიყრებოდნენ, რომ საქართველოში ფულის საშოვარი არ იყოს. ეს ხომ ყველაფერი უეჭველია, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ცალიერი კაპიტალიზმი იმ ფორმით, რა ფორმითაც ოსმალეთი ბაეს არ

ადებდა უცხოეთელ საქონელსო და ამიტომ მისთვის ყოველად შეუძლებელი იყო უცხო ფაბრიკებთან კონკურენციაო. ეს საქმე დაემართა ირლანდიასაც, მის პოლიტიკურის უძლურების გამოო. მეთხუთმეტე, მეთექვსმეტე საუკუნეში ირლანდია ბევრად უფრო მაღლა იდგა, ვიდრე ინგლისი, მრეწველობით. მაგრამ შემდეგ ირლანდიას აღეკრძალა საქონლის გატანა ინგლისის კოლონიებში და თვით ინგლისში. ინგლისის საქონელი-კი თავისუფლად ფარფაშობდა ირლანდიაშო. აი ამან დასცა ირლანდიის წარმოება და მისი ადგილი დაიპირა ინგლისის წარმოებამაო.

დიაღ, ბ-ნო ჯიბლაძე, მარქსის მოძღვრება სრულიადაც არ მოიხოვს, რომ ჩვენში კაპიტალიზმი იმ ფაზისამდის მივიდეს, რა ფაზისშიაც ევროპაშია. ძალიან ადვილი წარმოსადგენია, რომ ჩვენ მაღნებში გვამეშაონ და არა ფაბრიკებში. ადვილი შესაძლებელია, რომ ჩვენი სახნავ-სათესი ადგილები სხვა-და-სხვა კაპიტალისტურ პლანტაციებად გარდაქმენონ. ეს ყოველივე ადვილი შესაძლებელია. მაგრამ ნუ-თუ აქედგან ის დასკვნა გამოგყავთ, რომ ჩვენშიაც ის კულტურა, ის ტეხნიკა, ის ცოდნა და ის ბრძოლა, ის ტეხნიკა, ის ცოდ-

---

ნა, ის ბრძოლა, ის ტეხნიკა, ის ცოდ-

---

*) ნახე „ივერია“ 72 №.

ფული მშვენერია. სდგას ძველი ჯამეგ. თათრული არავინ იცის, თუმცა ერთს დროს ხოჯაც ასწავლიდა.

26, სახლდამე. 10 კომლი. აქ მოსახლეობენ სიხალიძენი, ადრე ჯავახეთიდგან გადასულნი და დასახლებულნი, არ ვუწყით რა მიზეზების გამო. თათრობას-კი მომხდარა ამათი აქ მოსვლა.

27, ᲭᲘᲨᲝᲛ ᲝᲥᲚᲘᲐ, ესე იგი მღვდლის, ანუ ხუცის შვილები. 20 კომლი. უწყიან, რომ აქ ქრისტიანობა დიდხანს ჰქონდათ ფარულად შენახული. აქ ერთი მღვდელი სცხოვრობდა, რომელიც არც გათათრდა და არც აქაურობას მოჰშორდაო. როცა დაპერდა, მაშინ-კი საცალა ქრისტიან ქართველებში წავიდა თავის ნებით და იქ გარდაიცვალაო. ამისი შვილები რომ გაუთათრებიათ, ამათთვის ქეშიშ-ოღლები უწოდებიათ გვარათაო. ამ სოფელს ძველად ეკკლესიაც ჰქონდაო.

28, ᲐᲥᲝᲠᲓᲘᲐ. 15 კომლი. რამდენიმე კომლი გადასახლდა ოსმალეთში. ეკკლესიაზედ ჯამე სდგას. წინად ამ სოფელს ქართული რქმევია. ალიოღლები გათათრების შემდეგ უწოდებით, რადგანაც პირველად ალიაშვილები გათათრებულან.

29, ᲐᲥᲘᲭᲝᲠᲓᲐ. 60 კომლი. ახალციხის ომის დროს, 1829 წ., აქ მოვიდნენ ჯავახეთის ქართველი მაჰმადიანები და დასახლდნენ. ამ სოფელს წინად ქართული სახელი რქმევია, გათათრების შემდეგ ალიკოღლი დარქმევია. ვინც აქ პირველად გათთრდა, ამას ოსმალებმა ალიქა უწოდესო და ეს სოფელიც მას ჰაჩუქესო, ამიტომ დაერქვა ამას ალიქოღლი. შარაუშიძეები აფხაზეთიდამ პირველად აქ მოსულან და დასახლებულან. აქ არის ნასაყდრალი, ლენინს ქვევრები, ლღვინსა და კაკლის ხეები. სადაც-კი ეს ხეები სდგას, იქ არ შეიძლება, რომ ეკკლესიის ალაგი არ აღმოსჩნდეს. აქვთ ჯამე, ხოჯა ჰყავთ და სასწავლებელი აქვთ, ხოჯა ბავშვებს თათრულს ასწავლის, მაგრამ ვერავის რა დაუსწავლია.

30, გოგანამე. 17 კომლი. აქაურთ ქართველთ ქრისტიანობა 1810 წლამდე შეუნახავთ საიდუმლოდ.

31, შეშანსა. 57 კომლი. აქ ძველად მცხოვრებთ ქართველთა უმეტესი ნაწილი აქეთ-იქით გაქცეულან ოსმალოს ზიზღის გამო, სოფელი დიდი ყოფილა, სახლები ბევრია, მაგრამ ოხრად შთენილი, ამიტომ აქ მოსულან არდანუჯისა და ართვინის მხრის ქართველთ მაჰმადიანები და დასახლებულან. ჯამე აქვთ, ხოჯა ჰყავთ, ხოჯას სასწავლებელი აქვს.

32, შაკბერა. 21 კომლი. მეტად მშვენიერი სოფელია და ხშირად შავდ იბერება, რადგანაც აქეთ-იქიდგან ტყიანი მთები აკრავს გარს. ჩრდილი უხად იცის, წყლები ცივი და არა ნოტია. ძველად აქ იყო საყდარია. დღეს ჯამე აქვთ და ხოჯაც ჰყავთ. ხოჯებს და მოლებს ესენი ერთობ იაფად იპერენ, წელიწადში 100—150 მ.

33, აგოთ. რამდენიმე კომლია, პატარა სოფელი.

34, სიდიბაური. 50 კომლი, მიუსვლიანი ალაგია წითელს მიწაზედ სქევს. ჯამე ეკკლესიაზედ გაუკეთებიათ. რაც ესენი გათათრდნენ, მას შემდეგ 125 წელი გასული.

35, ᲒᲐᲠᲭᲔᲣᲚᲘ. 31 კომლი. 1850 წ. ამთგან ბევრი გამწყდარან ოსმალთა წინააღმდეგ ომში. ამაების შესახებ ამბებიც ბევრია დაშთენილი. Ხ. Ჯ.

(შემდეგი იხილეთ)

ნარკვევი

(ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲗᲘᲡᲒᲐᲜ)

ჩინეთის კარგად მცოდნე პოლკოვნიკი მარკ ბელლი ერს თავისს წერილში, სწერს რომ

„ჩინეთის სამდგომარეობა ეს ქვეყანა ამდენად მდგომარეა, რომ თავისის სიმდიდრით თვით შეგონილს თამდენსაც ანდოთს ვერ აკმაყოფილებს. „ცისკრიშეთ ამბერეთს“ აღორძინება და ანსოლება ისეთი ძნელი არ არის, როგორც ევროპელნი ფიქრობენ. ჩინეთს ბევრი ბუნებრივი სიმდიდრე აქვს, ბევრი ადამიანი ცხოვრობს, ბევრი ადგილი ბევრ ადამიანს ეყოფა, ბევრ ადგილზედ

სი ფელში. ამას წაატყდება ოსეფა და დაანახვებს ვარკას. ვარკას გული მისდის; მის მობრუნების შემდეგ შემოდის სიმონიც და სთხოვს—მაპატიეთ. ვარკა ჯერ სწყენელის სიმონს და ეუბნება, ღმერთიც ვერ შეგინდობს მაგგვარს დანაშაულს და მე როგორ შევიძლებ გიპატიოთ; შემდეგ-კი ამბობს: მე ბეჭნიერება აღარ დამბრუნდება მაინც, მაშ ღმერთმა ხერი მოგცესო.

თვით გარბის მდინარესკენ. თავის დასარჩობად, მაგრამ მოასწრებს შვილის გადაგდებას, თითონ-კი დაკავებენ. ქალი თითქმის გაგიჟდება, უნდა გამოუსხლტეს ხელიდგან, მაგრამ შეკოკავენ. სოფლის მოხელეები დაიჭერენ და როგორც შვილის მკვლელს ქალაქში აგზავნიან.

ვარკას როლი ძალიან დრამატიულია და ბოიარსკისმა სწორედ ხელოვნურად შეასრულა. საუცხოო იყო ბოიარსკისა სიმონთან უკანასკნელს ბაასში, შვილის წყალში გადაგდების შემდეგ და დედ-მამასთან გამოთხოვების დროს. საზოგადოებაზედ ამ სცენებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს და უტყუარად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ქბ. ბოიარსკისა ნიჭიერი დრამატიული არტისტი არის. არც ბ. სუხოდოლსკი იყო ურიგო მამის როლში; განსაკუთრებით შთაბეჭდილება მოახდინა შვილის დაწყევლის დროს. ბ. შატკოვსკი მეტის-მეტად აკარბებს და მისი კომიზიჩ ხშირად თავ-დაუჭერელ ლაზღანდარობასა ჰგავს. ფედოტი მას უნდა დაესახა გულ-უბრყვილო, მშიშარა და გამოუცდელ მოტრფიალეთ და არა თავზედ ხელ-აღებულ მასხარად. დანარჩენნი მსახიობნი გვარიანად თამაშობდნენ, ასე რომ საზოგადო ანსამბლი პიესისა საუცხოო იყო. უნდა ვსთქვათ, რომ ეს დასი ბევრით არაფრით ჩამოუვარდება სახელგანთქმულს მცირე რუსთა დასებს—კროპივნიკაისას და სტარიცკისას..

წარმოდგენილს პიესას ამშვენებდა საუცხოო სიმღერა ქალთა და კაცთა ხორო. ნამეტურ მშვენიერად იმღერეს: „Реве та стогне“ და "Дивка въ синяхъ стояла". უფრო სუსტად "Солнце нызенько", რაც ტონის სიმაღლის ბრალი იყო. ცალ-ცალკე სასიმღერო-კი შატკოვსკიმაც და ქბ. ბოიარსკისამ სუსტად შეასრულეს.

საზოგადოება, როგორც წინად ისე ამ წარმოდგენამაც ძლიერ ასიამოვნა და დიდის ტაშის კვრით ეგებებოდა ყველა მსახიობით, ნამეტურ ქ. ბ. ბოიარსკისას.

დასასრულ, უადგილოდ არ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ რაღაც მიზეზით ქართველობა სრულიად არ ესწრება მცირე რუსთა სასიამოვნო წარმოდგენებს.

გამმა.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

ამ სამის წლის წინად თქვენ ბატეგცემულ გაზეთ „ივერიის“ ერთერთს ნომერში მოსსენებული იყო—ამა და ამ ჯტეს (თუ არა ვცდები გვარად თუმანიშვილმა) „Кость - Мурлыка“ ზღაპრები გადათარგმნა და პოლბერის ზოოლოგიის თარგმნას შეუდგა. მე მაშინ სამეგურნალო საზოგმეის მეორე კურსზედ ვიყავი და ამ ხანად პოლბერის ზოოლოგია გარდა ორის უკანასკნელის თავისა გადთარგმნილი მქონდა; რა კი შევიტყე, სხვა სთარგმნიდა, თავი დავიჭერ. მის შემდეგომ მეოთხე წელი გავლის და ეს ჩვენ უმაწვილდთათვის ფრიად საჭიროებელი და საინტერესო წიგნი კიდევ არ გადთარგმნილა და დასტამბული. შესაძლოა ამ ბირმა სხვა-და-სხვა მიზეზების გამო კერ შესძლო თავის დაბარების სასრულეზე მოეყვანა. დიდი მადლობელი-კი ვიქნები თუ თქვენს პატივცემულ გაზეთის შემწეობით ის გავცნობებს—სთარგმნის იგი (ანუ უკვე გადთარგმნა) თუ არა ზემოდ აღნიშნული წიგნი (Зоологія поля Бэра, русскій переводъ подъ ред. Мечникова или же подъ ред. проф. Н. Вагнера).

დ—რი ი. თიკანაძე.

პეტერბურგი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსგან).

7 აპრილი.

პეტერბურგი. გუშინ მოხდა საზოგადო კრება „სლავიურის საქველმოქმედო საზოგადოებისა“ გრაფ იგნატიევის თავმჯდომარეობით; კრებას დაესწრნენ პეტერბურგის მიტროპოლიტი, ეპისკოპოზნი, გენერალი ჩერნიაეკი, სერბიის ელჩი და მრავალი გამოჩენილი მოდვაწე. საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა გენერალმა კირეევმა. იგი შეეხო რუსეთის სახელმწიფოს წეს-წყობილების უმთავრეს თვისებას—თვით მპყრობელობას. მეორე სიტყვა წარმოსთქვა ვ. ვ. კოშაროვმა, რომლის სიტყვაც პირ-და-პირ ეწინააღმდეგება ლამანსკის მიერ შარშან წარმოთქმულ სიტყვას, რომელშიაც ლამანსკი ევროპის პოლიტიკურს წეს-წყობილებას რუსეთს მაგალითად უსახავდა.

ლონდონი, 6 აპრილი. იმ ხმამ, ვითომც იაპონიის დესანტნი შეეტიცრებინოთ თვისი პირობანი, საშინლად აალელვა იაპონელები. ტოკიოში დროებით აღუკრძალავთ შვიდი გაზეთი, რომელნიც მთავრობის წინააღმდეგ სწერდნენ.

ტოკიოდგან იუწყებიან, რომ მიკადომ მოისურვა ინახულოს ჩინეთის იმპერატორი პეკინში, რათა პირადად მოელაპარაკოს იმ კავშირის შესახებ, რომელიც მორიგების ხელშეკრულობაშია მოხსენებული; კავშირით უნდა შეიკვრნენ ჩინეთი, იაპონია და სიამი.

პეტერბურგი, 8 აპრილი. ციმბირის რკინის გზის კომიტეტმა, ხელმწიფე იმპერატორის თანდასწრებით, გარდასწყიტა, რომ ვიდრე ბაიკალის ტბის ნაპირზედ რკინის გზას გაიყვანდნენ, რკინის გზის მატარებლები ამიერ-ბაიკალის რკინის გზიდგან შუა-ციმბირის რკინის გზაზედ ბაიკალის ტბით გემებით გადაზიდონ ხოლმე. ხელმწიფე იმპერატორმა ბაიკალზედ სამუშაო გემის ისაგებად 500,000 მანეთის გადადება ბრძანა.

პეტერბურგის ბირჟა, 7 აპრილი

	მეოდეულსა.	გაბედეულსა.	ბეოდეულსა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო .	7,40	— „	7,43
5% მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურთ ბანკისა	— „	— „	213½
4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა.	— „	— „	101⅞
6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურთ. ბანკისა. . .	101	— „	— „
5% იმავე ბანკისა. .	99¾	— „	— „
6% ტფილისის სათავად-აზნაურთ ბანკისა	101 „	— „	— „
5% იმავე ბანკისა .	99¾	— „	— „
5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკredიტო საზოგადოებისა	99⅝	— „	— „

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუიაში, კარანტინის ძველის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილობით:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათიმთა, ვისაც სპირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ს. ი. სოროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. ანეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. ბრიტასეკიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ს. ბ. კარაპეტიანცი, 1—1½, საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. ბრიტასეკიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ს. ბ. ბურგო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ს. ნავასარდიანი, 7—7½, საათამდის.

ს. ბ. ბურგო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისთვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

ქართველთა ამხანაგობისაგან.

პასუხად ქუთაისიდგან მიღებულის წერილისა და ყოველთა საცნობლად ვაცხადებთ, რომ **თ. აკაკი წერეთლის უკვე დაბეჭდილისა და დ. უგეჭდავის ნაწერების ცალკე გამოცემა შესაძლოა აქვს ქართველთა ამხანაგობას** 1892 წ. ოქტომბრის 16-ს ნოტარიუსის წესით ხელ-შეკრულობის ძალით. **ვინც ამ ხანაგობის ნება-დაურთველად გამოცემას ზემო-ხსენებულის ავტორის ნაწერებს, სამოძალადო პასუხის გებაში მიეცემა.**

უმაღლესად დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

დამზღვევი საზოგადოება „როსსია“

ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან

საზოგადოების სარეგლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება.

დაზღვევა სიცოცხლისა

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუგეშოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)

მოიარულთ სიკვდილი ვერ დაამარცხებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

დაზღვევა უგადუნ შემთხვევისაგან

როგორც ეკრძო ტეასა, ისე საერთო, სასმსხვნაგო, ქარხნებში მოსიმსხვერპლეა და მოშეშვეთ;

დაზღვევა ცეცხლისაგან

ყოველ ვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

დაზღვევა ტრანსპორტებისა,

ზღვეთ, მდინარეთ, თუ სმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარ ცნობები ეგზავნება უმთავრეს მმართველობას, (ბოლშაია მოსკოვსკაია, სახლი. № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 5) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შეშხვევისაგან დამზღვევი ბიღეთები მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემთ რეალის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, ფ გემ[illegible] ოდგურებზედ. 50—6—18

დამზღვევი საზოგადოება „იაკორი“

(ᲓᲣᲖᲐ)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

დაზღვევა სიცოცხლისა.

მით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვერ ს პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეეყენებულ ენება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საკითხ ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების საგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორ ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში.

(100—721—›)

Дозволено цензурою, Тифлисъ -8го Апрѣля 1895 г.

სტამბა მ. შარიძისა და ამხანაგებისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე